სალი კლდე

დამოუკიდებელი ნაციონალური პოლიტიკის ორგანო.

ხუთშაბათი, იანვრის 16.

(იანვარის 3).

1919 წელი.

№ 7.

ფასი 50 კაპ.

ყოველ-დღიური „სალი კლდე“ გაზეთი გამოცემა

— დამოუკიდებელი —

ნაციონალ-დემოკრატიული

გამოდის გრიგოლ ვეშაპელის რედაქციით

გაზეთის ფასი 1919 წლის დამლევამდე 100 მანეთი, ცალკე ნომერი 50 კ. განცხადებათა ფასი მორიგებით.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 2 საათამდე.

კონტორა ქართულ ქარვასლაშია, სახახლის ქ. № 5

რედაქტორის ტელეფონი № 22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილები

მეთაური. ჩვენი პარტია და არჩევნები.

ლეგიონერი. ქართული ლეგიონი ომში.

ცნობები.

ხომხეთ-საქართველოს კონფერენცია დასრულდა (დაწვრილებითი ანგარიში გაზეთშია.)

ინგლისში ახალი მთავრობა შესდგა, ერთი მინისტრთაგანი ინდუსია.

სპარტაკის ამბოხება ბერლინიდან გერმანიის პროვინციას ედება.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ყოველ დღიურ გაზეთ „სალი კლდე“-ზე.

გაზეთის ფასი:

ერთი თვით 10 მან. | სამი თვით 25 მან. | ექვსი თვით 50 მან. | ერთი წლით 100 მან.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 2 საათამდე.

კონტორა ქართულ ქარვასლაშია, სახახლის ქ. № 5.

ქართველებო! ნუ დაჰკარგავთ საარჩევნო ხმას!

მიდით ქალაქის საარჩევნო ბიუროში. (შუა (სომხის) ბაზარში, № 62 თამამშევის ქარვასლა) და თუ აღწერისდროს გამოტოვებული ხართ, შეატანიეთ სიაში თქვენი თავი!

თფილისი, იანვარის 16.

ჩვენი პარტია და არჩევნები.

სოციალ-დემოკრატების მიერ დამფუძნებელი კრების არჩევნების მოულოდნელად და უდროოდ დანიშვნა ჩვენთვის იმის ნიშანია, სოციალ-დემოკრატებს თავდაპირველად არა სოციალისტურ, ნაციონალურ პარტიების დამარცხება უნდათ. და ამიტომ სადღეისო საკითხი ყველა მემარჯვენე პარტიებისათვის, იყო ბრძოლა კი არა, შეერთება სოციალისტურ დიქტატურისაგან თავის დასაღწევად.

ასე ვფიქრობდით ყველა არა სოციალისტურ პარტიებზედ და თავის თავად ცხადია, რომ ასეთი შეთანხმება აუცილებელი იყო ჩვენის აზრით თავდაპირველად ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ორი მიმართულებისათვის, რომელნიც არიან შეკავშირებულნი გაზეთ „საქართველოსა“ და „კლდის“ გარშემო.

ამიტომ, როცა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სამაზრო დელეგატთა მცირე კონფერენცია დაინიშნა ჩვენ წინადადებით მივმართეთ, შევთანხმებულიყავით დამფუძნებელი კრების არჩევნებში ერთი სიით გამოსასვლელად.

მართალია, ეს კონფერენცია არ იყო ის დიდი, ნამდვილი, პირდაპირ ორგანიზაციებიდან არჩეული კონფერენცია, რომლის მოწვევას მოვითხოვდით ჩვენ თავიდანვე პარტიის განხეთქილების გამოსარკვევად და რომელსაც ასე გაურბოდა „საქართველოს“ ჯგუფი, ისიც მართალია რომ ეს მცირე კონფერენცია იყო უმთავრესად ზევიდან ხელოვნურად მოწვეული ხალხის, ომელსაც დიდი ხანია დაკარგა გავლენა პარტიის ფართო საზოგადოებაში, მაგრამ ჩვენ მაინც მივმართეთ ამ ხალხს საარჩევნო შეთანხმების წინადადებით, რადგან პოლიტიკურ მოსაზრებებს რომ თავი დავანებოთ, ეს ძალიან გამოსადეგი იყო ორივე მხარის ორგანიზაციული და მატერიალური ეკონომიისათვის.

მაგრამ ნათქვამია „კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების“. ეროვნული დემოკრატების მცირე კონფერენციის უმრავლესობა სწორედ იმ ხალხის იყო, რომლის შეურიგებელმა ინტრიგებმა გვაიძულა ჩვენ თავის დროზედ მოგვეხდინა გაყოფა და ცალკე კომიტეტი და საპარლამენტო ფრაქცია შეგვედგინა.

ამითა იხსნება ის გარემოება, რომ ეროვნულ-დემოკრატებმა უარყვეს ჩვენთან შეთანხმება და სამაგიეროდ საეჭვო ვითომც „ახალი“ ძალები შემოიყვანეს ერ.-დემ. სიაში.

თებერვლის არჩევნები განსჯის, თუ რას იტყვის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მასსა პროვინციაში და თუ ვის მიანდობს იგი საქართველოს ეროვნული პოლიტიკის წარმოებას დამფუძნებელ კრებაში!

ყოველს შემთხვევაში ამით თავდება გაურკვეველი მდგომარეობა, რომელიც არსებობდა პარტიის პროვინციულ მასაში და რომელიც სულ იმას გაიძახოდა და მოითხოვდა თფილისის კომიტეტებიდან—ერ.-დემ. პარტია უნდა შეერთდეს და ერთი სიით გამოვიდეს დამფუძნებელ კრებისათვისო.

დღეიდან ყოველმა წევრმა ეროვნულ დემოკრატიულ პარტიისამ უნდა პირდაპირ დაფასოს შექმნილი მდგომარეობა და გადაპრით სთქვას, თუ საით არის მისი ხმა.

ჩვენი პარტია დღეიდან სავსებით უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც ცალკე სხეული საქართველოს ყოველს კუთხეში, საკუთარის ორგანიზაციით და საკუთარის სახელით.

ჩვენი პარტია გამოდის დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის ცალკე საკუთარი სიით, რომელიც შედგენილი იქნება თფილისის მთავარი კომიტეტისა და ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის შეთანხმებით.

„კლდის“ თანამოაზრეებმა დაუყონებლივ უნდა მოაწყონ საქართველოს ყოველ კუთხეში საარჩევნო ორგანიზაციები, გაგზავნონ ეხლავე თავისი წარმომადგენელნი ადგილობრივ საპარტიათაშორისო საარჩევნო კომისიებში და დაიკავონ პირდაპირი კავშირი ჩვენი პარტიის ცენტრალურ საარჩევნო ბიუროსთან.

უთანხმოება ინგლისელებთან სუფსაში.

გაზეთ „ერთობაში“ ბ-ნი ვარდენ ჩხეიძე შემდეგ ამბავს აგვიწერს:

9 იანვარს საღამოს 5 საათზე სუფსაში ამოვიდა ბათუმიდან მატარებელი ინდოელთა ჯარით.

სუფსის რკინის გზის ხიდთან შეჩერდა ეს მატარებელი და ჯარის უფროსმა მოსთხოვა ჩვენს ჯარისკაცებს: ხიდი უნდა გავზომოთ, ავწეროთ, ჩავიბაროთ და ჩვენი მცველები დავაყენოთო. ჯარისკაცებმა და შემთხვევით აქ მყოფმა ოფიცერმა შ. ელენტმა აუხსნეს ინგლისელ ოფიცერს, რომ ამის ნებას ვერ მივმცემთ ვერას შემთხვევაში, სანამ სათანადო ბრძანება არ მივიღებთო.

აქ საქმეში ჩაერია ამ ინგლისის მატარებელში „შემთხვევით“ მყოფი პოლკოვნიკი დენისენკო, ტრაპიზონის გზის მკეთებელი სამხედრო ინჟინერი, რომელსაც ბათუმლები კარგათ იცნობენ, როგორც ჭეშმარიტ მემარჯვენეს და „საქმის კაცს“. მან დაუწყო ჩვენს ჯარისკაცებს ტუქსვა და მუქარა და ძალად მოინდომა ხიდის გაზომვა, მაგრამ ჯარისკაცებმა სახუმროდ აღარ გახადეს საქმე, დენისენკოს გადაჭრით მოსთხოვეს გზიდან ჩამოცლა, კინაღამ ხიშტებზე მიდგა საქმე, რომ ინგლისელი მაიორის გონიერება არ წამოგვშველებოდა, რომელმაც შეაჩერა ეს შეტაკება და დასთანხმდა მოეცადა ჩვენი დეპეშის პასუხისთვის.

მატარებელი სადგურში გააჩერეს, პენჯაბელთა ერთი როტა ჩამოიყვანეს და ხიდის ყურში დასტოვეს ბანაკათ. ღამით მე ავედი აფიცერთა ვაგონში ორი ადგილობრივი მცხოვრების თანხლებით და ზოგიერთი შეკითხვები მოვახსენე ჯარის უფროსს. ვლაპარაკობდით ფრანგულად; ვიღაც მეორე რუსი პოდპოლკოვნიკის ჩინის პატრონი უაზროდ მოგვშტერებოდა, ხანდახან სახეზე გაჯავრებას მოვკარი თვალი, განსაკუთრებით მაშინ, როცა საჭიროებამ მოითხოვა და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, ნეიტრალიტეტი, რუსის ჯარის შინ გაქცევა და თათრებთან ჩვენი ომი ვახსენე. როცა მაიორს შევეკითხე თუ სანამდე უნდა დაიჭიროს ინგლისის ჯარმა რკინის გზა მეთქი, მან მიპასუხა: მგონია, თფილისამდეო. აქ კი ეტყობ, ველარ მოითმინა ამ რუსის პოდპოლკოვნიკმა და ფრანგულად ჩაგვირთო სიტყვა: ბაქომდეო თქვენ ვინ ბრძანდებით მეთქი, შევეკითხე. მე „შემთხვევითი“ მგზავრი ვარო, მომიგო პასუხად.

ეს პოლკოვნიკი დენისენკო, ეს უცნობი რუსის პოდპოლკოვნიკი რა „შემთხვევით“ მიყვებიან ამ ინგლისის სამხედრო მატარებელს, რა „შემთხვევით“ აძლევენ ჩვენს ჯარისკაცებს წინადადებებს, ტუქსავენ, ლანძღავენ მათ და იწვევენ პროვოკაციულ ინციდენტებს? ვინ დავალა ეს მან.

დღეს გათენებისას მოვიდა დეპეშების პასუხი, მატარებელი სამტრედიისკენ წავიდა, სუფსაში კი ნახევარი როტა პენჯაბელი 89 პოლკისა. რუსის პოდპოლკოვნიკმა ჩემი ვინაობა „გულმოდგინეობით“ გამოკითხა. სრული ადრესი მოვახსენე, რადგანაც თუ ღმერთი კიდევ ისე გასწყრება, რომ ამათ საძიებლათ გახდება ჩემი გზა კვალი, ვითომ რათ მინდა ცოცხალი თავი“.

განხეთქილება ფედერალისტების პარტიაში

„სახალხო საქმეში“ დაბეჭდილია შემდეგი ცნობა იმ განხეთქილების შესახებ, რომელიც მომხდარა ს. ფედერალისტების პარტიაში უკანასკნელ კონფერენციაზე:

„ფედერალურმა საბჭომ ამა იანვრის 13-ს განიხილა ზოგიერთი წევრის შეუწყნარებელი საქციელი, რომელთაც საბჭოს პირველი სხდომაზედვე იანვრის 12 სხვა „წევრებთან ერთად საკვლევით მოიწონეს მთავარ კომიტეტის წარმოდგენილი გეგმა დამფუძნებელი კრების არჩევნებისა და დებულებანი პლატფორმისა, და რომელთა წაკითხული მოხსენება არაფერით განსხვავდებოდა მთ. კომიტეტის მოხსენებიდან, რომელთაც მთელი საბჭოს შემადგენლობასთან ერთად მიიღეს და დაამტკიცეს მთ. კომიტეტისვე წარმოდგენილი სისტემა კანდიდატთა სიის შესამუშავებლად, ხოლო როცა არჩეული იქნა სარეკომენდაციო კომისია და ამ კომისიაში არ გავიდნენ მათი დასახელებული პირები, მოითხოვეს წინააღმდეგ პარტიულ წესდების მეათე მუხლისა ფედერ. საბჭოს შემადგენლობის შეცვლა და რაკი თავისი ვერ გაიტანეს, დასტოვეს სხდომის დარბაზი და არ მიიღეს მონაწილეობა არც იმ დღის საღამოს და არც მეორე დღის დილის მუშაობაში; ხოლო საღამოს ულტიმატუმის ხასიათის მოთხოვნა წარმოუდგინეს საბჭოს — თუ ყოველ დასახელებულ ხუთ კანდიდატში ორი ჩვენი ნაჩვენები პირი არ იქნება, ჩვენ აღარ დავბრუნდებით ფედერ. საბჭოშიო და როდესაც საბჭომ უარჰყო ესეთი შეუფერებელი მოთხოვნა, გამოაცხადეს ალ. წერეთლის პირით, რომ ისინი აარსებენ ცალკე პარტიას.

ალ. წერეთლის პარტიიდან გამორიცხვა.

ს. ფ. სარ. პარტიის ფედერ საბჭომ იანვრის 13-ს სხდომაზე დაადგინა:

პარტიის წევრი ალექსანდრე წერეთელი პარტიაში მავნე მოქმედებისათვის და საპირადო ნიადაგზე განხეთქილების შეტანის ცდისთვის გამორიცხულ იქმნეს პარტიიდან.

საქართველოს ამბები.

სომეხ-ტყვეების განთავისუფლება.

თანახმად სომხეთ-საქართველოს შუა დადებულ დროებითი ზავის ხელშეკრულობისა ქუთაისში მყოფ სომეხ-სამხედრო ტყვეებს მომავალ კვირაში გაანთავისუფლებენ.

ვაჭარ-მრეწველთა ყრილობა.

ამ დღეებში ქუთაისში შესდგება ქუთაისის რაიონის ვაჭარ-მრეწველთა ყრილობა, რომელსაც დაესწრება ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ბ. ჟურული.

სომხეთ-საქართველოს კონფერენცია.

დასრულდა სომხეთ-საქართველოს კონფერენცია: გუშინ შესდგა უკანასკნელი სხდომა. დროებითი ზავის პირობები ორივე მხარემ მიიღო.

გერმანელების ფქვილი.

ყოფილ სასულიერო სემინარიის შენობაში გერმანელებს დაურჩენიათ დიდძალი ფქვილი, რომელიც საქართველოს მთავრობას გადაეცა და ჯარის საჭიროებას მოხმარდება.

ჯამაგირი ომში წასულ მუშებს.

პარლამენტის საფინანსო კომისიამ დაადგინა ომში წასულს მუშებს ჯამაგირი არ მოესპოთ და ადგილებიდანაც არ იქნენ დათხოვილნი.

საქათალიკოზო ხარჯთ-აღრიცხვა.

სრულიათ საქართველოს საქათოლიკოზო საბჭოს კანცელარიამ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარუდგინა საბჭოს უწყების საბიუჯეტო ცნობები 1918 წლის მაისის 26-დან 1 ოქტომბრამდე. როგორც ამ ცნობებიდანა სჩანს საბჭოს დაუხარჯავს ხარჯთ-აღრიცხვის ნავარაუდებთანხიდან 586,049 მან. 53 კაპ. ხარჯთაღრიცხვის ზეით 132,139 მ., უკრედიტო თანხიდან 28,990 მან. 33 კ. მოელის ხარჯები 1918 წლამდე შტატიანი 250,397 მან. 26 კ. უშტატო 47,509 მან. 58 კაპ. საჭიროა ახალი თანხები 1918 წლის მოლოდმდე 18627 მ. 70 კ.

დაპატიმრებულ სომეხთა შესახებ.

საგანგებო კომისია გენ.-გუბ. მაღლაკელიძის მეთაურობით უკვე იკვლევს ორივე ციხეში დაპატიმრებულ სომეხთა საქმეებს. მეტეხის ციხეში საერთო რიცხვი პატიმართა უდრის 471 კაცს, ხოლო № 1 712 კაცს. კომისიამ განიხილა იმ პირთა საქმე, რომელნიც გენერალ-გუბერნატორზე ითვლებოდნენ, ზოგიერთი უკვე გაანთავისუფლეს, ზოგი საჭიროებს გადასახლებას და დანარჩენნი მცირე ხნით არა ნაკლებ ექვსი თვისა დარჩებიან დაპატიმრებულად.

„ნაშე ზნამია“.

თფილ. გენ.-გუბერნატორს მაღლაკელიძეს ცნობა მოსვლია, რომ „ეპოქა“ სტამბაში ფარულად იბეჭდება ეგრედ წოდებული „ნაშე-ზნამია“. მისი განკარგულებით ფიცხლავ მოახდინეს ამ სტამბაში ჩხრეკა და 387 ცალი ამ გაზეთის ნომრისა უკვე გამზადებული აღმოაჩინეს. სტამბის პატრონმა კარაპეტოვმა განაცხადა. რომ მან მიიღო ეს სამუშაო ამ გაზეთის რედაქტორ აზეთიანის მიერ.

ოზურგეთის ცხოვრება.

ოზურგეთი, (საკუთარ კორესპოდენტისაგან). ოზურგეთში მძვინვარებს „ისპანკა“, რომელიც თითქოს მისუსტდა, მაგრამ სამაგიეროთ გაჩნდა წინწკლებიანი სახადი და ყვავილი. აღმოსავლეთ ნაწილში გაჩნდა საქონლის ჭირი. საჭიროა ეპიდემისაგან საბრძოლველათ სამაზრო ერობას მიეცეს ფინანსიური დახმარება, რომ მან მისი ფხიზელი მუშაობა კიდევ უფრო ენერგიულათ აწარმოოს. იანვრის პირველ რიცხვიდან ერობა უკვე შეუდგა შკოლების ჩაბარებას.

არჩევნების გარშემო.

დამფუძნებელი კრების კომისიაში.

13 იანვარს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა: 1) საკანდიდატო სიების წარდგენის ვადის შესახებ წარდგენილ იქნეს, რაც შეიძლება დაჩქარებით; 2) ბორჩალოს და თიანეთის მაზრებში არჩევნების მოხდენის შესახებ, ამ ორ მაზრაში დაევალოს გუბერნიის ინსტუქტორს შეადგინოს ინსტრუქციის თანახმად საარჩევნო კომისია, რომელიც დაარსების შემდეგ იმოქმედებს ინსტრუქტორისაგან დამოუკიდებლად. კომისიის ორი წევრი ბ-ნნი ახმეტელი და გ. ვეშაპელი არ იზიარებენ ამ დადგენილებას: მათ საჭიროდ მიაჩნიათ განსაკუთრებული რწმუნებულის დანიშვნა ამ მაზრებში. წინადადება მიეცათ მათ შემოიტანონ წერილობითი განცხადება ამის შესახებ. ცენტრალურ პუნქტად ბორჩალოს მაზრაში კომისია გაიხდის ს. ეკატერინენფელდს. 3) კანდიდატების მიერ თანხმობის განცხადების შესახებ — თანხმობა შეიძლება განცხადებულ იქნას დეპეშითაც. 4) მიემატოს თფილისის გუბერნიისთვის მეოთხე ინსტრუქტორი. ყველა ამ ოთხი ინსტრუქტორის შეკრების შემდეგ ერთი მეორესთან შე-

თანხმებით განაწილდეს მათი დაგზავნა მაზრებში.

— საქალაქო არჩევნებისათვის უკანასკნელ აღწერის დროს არა სასურველ მოვლენამ იჩინა თავი, მთელი რაიონები, რომელიც ქართველებით არის დასახლებული: საარჩევნო სიაში არ მოხვდნენ, მაგალითად ვერის კარგა დიდი ნაწილი, მაგ., არაგვის ქ., გუნიბის, იზმაილოვის და ახლო მახლო მდებარე ქუჩები სრულებით გამოტოვებულნი არიან, ისეთივე მდგომარეობაშია მთაწმინდის რაიონი, სადაც დავითის, მთაწმინდის, პატოჩნი და სხვა ქუჩები არ აუწერიათ სრულიად. საჭიროა ამ არასასურველ მოელენას ყურადღება მიექცეს.

უცხოეთის ამბები

ტელეგრამები.

საქართველოს სააგენტოსი.

თავდასხმა მინისტრ კრამარუზე

ჩეხიის პრემიერ მინისტრს კრამტუს იანვარს 9 თავს დაესხენ სიკვდილის განზრახვით და ორჯერ ესროლეს რევოლვერიდან მინისტრი უვნებლათაა. მსროლელი დააპატიმრეს.

ამბოხება ბერლინში

ბოლშევიკების ამბოხება ბერლინში თითქმის სრულიად ჩაქრეს. მეამბოხენი უკანასკნელ დღეებში იძულებული იყვენ შეტევიდან თავდაცვაზე გადასულიყვენ, შაბათს ღამე ძლიერი ბრძოლა იყო. მთავრობის ჯარმა აამოქმედა ნაღმისმტყორცნელი ცეცხლის წამკიდებელი ყუმბარები და არტილერია.

მთელი პრესა, გარდა დამოუკიდებელ სოც. დემოკრატების გაზეთების ,,ფრაიციაიტ''.ისა და ,,რესპუბლიკისა'', მთავრობის მოქმედებას ამართლებ ,,ფორვერტსი'' ამტკიცებს, რომ საჭიროება არ მოითხოვდა მთავრობის გადმოგდებას, ტყვიის მფრქვეველების ამუშავებას, აუარებელ უდანაშაულო მცხოვრებთა მსხვერპლს ყოველ შემთხვევაში მთავრობის გადაყენება, თუ ის საჭიროა, უნდა მოხდეს მშვიდობიანი გზით, რადგანაც დამღუპველი მოქმედება ხდება ქუჩებში, მთავრობას არ შეთძლია ყოყმანი დაიწყოს. მთავრობა იძულებულია ან დაყაროს იარაღი, და ან გაბედულათ იმოქმედოს.

მთავრობა ფქრობს, რომ მისი ერთი მოვალეობაა ამ ჟამათ ამოქმედოს გაბედულათ. ,,გერმანია აღნიშნავს, რომ ყოველი მოქალაქე მოვალეთ უნდა რაცხდეს თავს-მთელი ძალლონით იბრძოლოს დანაშაულობის წინააღმდეგ. ასეთის მოქმედების გულგრილათ ყურება არ შეეფერება კულტურულ ერს. მთავრობამ ყოველგვარ ზომას უნდა მიმართოს მოწინააღმდეგესთან საბრძოლველათ.

,,სპარტაკის'' ამბოხება გერმანიაში

მეამბოხე სპარტაკელების წინააღმდეგ მებრძოლ რესპუბლიკანურ არმიის ცალკე რაზმებმა დიდი საქმე გააკეთეს. ბერლინის ,,გაზეთების უბანში'' სპარტაკელთა ბუდეები ბრძოლით გაანადგურებს და ყველა რედარქციები და აგრეთვე ტელეგრაფი მათ კანონიერ პატრონებს დსუბრუნეს. მოკლულთა და დაჭრილა რიცხვი, სამწუხაროდ, დიდია,—თუმც რიცხვი ჯერ დანამდვილებით არ არის გამორკვეული, მსხვერპლის სიდიდე აიხსნება იმით, რომ სპარტაკელები ატყვევებდენ მოდარაჯეებს და გაუსამართლებლად ხვრეტდენ. ამ ნაირად მოკლულ იქმნა მთავრობის ჯარისკაცი. ასეთ საქციელს არ შეეძლო არ გამოეწვია შურის ძიების სურვილი მთავრობის ჯარში. დაპატიმრებულებში არის კარლ-ლიბნეხტის შვილი როგორც ამბობენ დაუპატიმრებიათ ბოლშევიკურ პროპაგანდის ხელმძღვანელნი რადეკი და სობელსონი. ხმები როზა ლიუქსენბურგის დაპატიმრების შესახებ არ გამართლდა. ის ბერლინიდან ჰამბურგში გაიქცა ავტომობილით. ამ ჟამად სპარტაკელები გამაგრებული არიან მარტო ბერლინის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილში და ბიუცკოვის ლუდის ქარხანაში. სწარმოებს ბრძოლა სილეზიის და სხვა სადგურების ასაღებად. ბერლინში გამეფებულ სულიერ განწყობილებას ახასიათებს ძველი რედაქციით ხელახლა გამოსულ გაზ. ,,ფორვერტს''-ის წერილი ბერლინში რესპუბლიკანურ ჯარის შემოსვლის შესახებ: წყევლა-კრულვა მოშორებულია. ბერლინში შიშიანობა აღარაა. ახალგაზდა რესპუბლიკის ჯარები ჩამოვიდა ბერლინში შაბათს დილით და წესიერება უკვე აღადგინა.

დღის 1 საათზე მშვენივრად და მწყობრად რესპუბლი ანურმა ჯარმა გაიარა ქალაქის ქუჩებში. ზარბაზნებსა, ტყვიის მფრქვეველებსა და ფოლადის მუზარადებთან ერთად მოსჩანდა მრავალი მოქალაქე თოფით მხარზე. ხალხი აღტაცებით ესალმებოდა ჯარს. ეს იყო ნამდვილი ზეიმი. ლევოკის კარებთან ხალხი საჩქაროთ გადადიოდა ქუჩაზე, უახლოვდებოდა რესპუბლიკანურ ჯარს და უხვად ურიგებდა საჩუქრებს. ქალაქში სიმღერით შემოსულმა ჯარმა აუარებელ ხალხს მოუყარა თავი. ჯარის ჩამოსვლის შემდეგ საერთოდ სიმშვიდეა.

პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო ბიურო.

მთავრობის ჯარმა იანვრის 11-ს გასწმინდა. იქ იპოვეს სპარტაკელთა პარტიის და მისი მონათესავე ორგანიზაციების წევრთა, თანამოაზრეთა და ხელმძღვანელთა სიები. სპარტაკელები, რომელნიც სცდილობენ იარაღით ხელში წინააღმდეგობის გაწევას, სულ გასწყვიტეს. ,,ფორვერტსში'' ტყვედ ჩავარდნილთ ბედის შესახებ სამხედრო მინისტრმა პოლკოვნიკმა რეინჰარდტმა სახალხო რწმუნებულს ნოსკეს შემდეგი განუცხადა: ,,სიცრუეა ვითომ ,,ფორვერტსში'' ტყვეები დაეხვრიტათ. ის კი მოხდა, რომ ,,ფორვერტსის'' გარნიზონიდან რამდენიმე კაცი, რომლებმაც სცადეს იარაღით ხელში წინააღმდეგობის გაწევა, დაიხოცა.

ქართული ლეგიონი ომში.

როდესაც მსოფლიოს ომი ნელდებოდა, კაცობრიობა ზავისკენ მიისწრაფებოდა, მოქანცული მხედრობა უბრუნდებოდა თვის კერას და მეტადრე კი ქართველთა მხედრობა, რომელიც უმანკო და უმნიშვნელო სისხლს ღვრიდა უცხოეთში; უბრუნდებოდა მრავალ ტანჯულს სამშობლოს და ფიქრობდა ,ტანჯულს ამირანს გაუმთელებდა თვის სენებს თავისუფლების სხივებით. როდესაც იგი ფიქრობდა მშვიდ და წყნარს ცხოვრებას გაახლებულს ერაში მოუღოდნელათ სომხეთის არარა ერმა, მუხთლათ შეეხო ჩვენს პაწაწა დარაჯის რაზმებს და ახალი გაზდა სიცოცხლით სამსეს ხალხს გამოსტაცებს უდროოთ თავიანთ მოკლე სიცოცხლე. მაგრამ ამ უმანკო უდანაშაულო დაღვრილს სისხლზედ აღმოსცენდა უკვდავი დროშა, წარწერით ,,სიკვდილი ანუ გამარჯვება'' და ამ უკვდავმა დროშამ მოკრიბა ყველა კუთხიდამ შეიერთა თვისი დაქსაქსულნი შვილნი, რომელნიც მზათ არიან შეეწირონ წმინდა უკვდავ დროშას თვის მსხვერპლით ვინც მოინდომებს მის შელახვას. სომხეთის ერს ეგონა გავთელამ, მოვსპოფ მის არსებას, მაგრამ წაუხდა ანგარიში. მას ეგონა რომ ქართველს ერს დაკარგული აქვს თვისი სახე, რომ სულიერად ის დაეცა, რომ ის დასქსულია მრავალ მოძღვრობით თურმე რა ნათქვამია ზოგჯერ მავნებელი ,ჭირი თავის მაზარალებელიაო. და სწორეთ რომ ეგრე იყო სომხეთის ეოისათვის. ამ უმანკო დაღვრილმა სისხლმა ერთ დროშის ქვეშ შეკრიბა ივერთა შვილნი და გაუმტკიცა ერთ შორის სიყვარული უკვდავი. გამარჯვება ღირსეულთ შვილთ ღირსეულს მშობლისაბდე მე თვით ვარ მოწამე ძლიერი გამარჯვებით მტრის წინაშე შულავრის აღებაში. ჩემი აღტაცება, მით რომ მე ვცოცხლობ იმ დროს, როდესაც ჩემს სამშობლოს შვილნი თვის დასაცავათ; მე მომიხდა ვალი გადამეხადნა სამშობლოს წინაშე და ჩავეწერე ლეგიონში, რომელსაც დიდს სიხარულით მოველოდი, უცხოეთიდან, რომელიც იყო დაარსებული პირველს რიცხვებში მსოფლიო ომის დროს გერმანეთში, მე მქონდა გაგებული ცოტა ოდენი, რომ ის დაარსდა ქართველთ ქრისტიანთა და მამადიანთა ემიგრანტებისაგან, რომლების მიზანი იყო მრავალი ტანჯული სამშობლო მონობისაგან გაენთავისუფლებინათ. მაგრამ მოულოდნელმა ქარტეხილმა რევოლუციამ თითქოს მოსპო მისი უმაღლესი დანიშნულება მაგრამ მცირე რაზმით დიადი რწმენით წმინდა აზრებით დაუბრუნდნენ თვის კერას უცხოეთში გადაკარგულნი შვილნი, დიდი ხანი არ გასულა რომ ლეგიონი გამოვიდა ომის ასპარეზედ თვის წმინდათა წმინდის დასაცავათ და თვისი მახვილით დაასახიჩრა თვისი მოწინამდეგე. მე ჩავეწერე მოხალისეთ ლეგიონში და ჩემთან მრავალი ახალგაზდა ყოველი კუთხიდან აქ მოისწრაფებოდნენ ჭოროხის შვილნი, მსწრაფლნი გურულნი, მეგრელები, ქართლ-კახელები და მთის შვილნი ფშავ ხევსურნი, რომლებსაც დეეტოვათ თვის მთები და ვერ დეეჯერებინათ, რომ სომხეთის არშინის მიმყოლმა ხალხმა მათთვის ომი გამოეცხადა. ჩემ მოძმეთა შევყურებდი და მიმთელდებოდა წყლული გული, აქ მოეყარათ თითქო მთელს საქართველოს და ვფიქრობდი ნეტარის ფიქრით, რომ ლეგიონი ყოფილიყვეს უკვდავი დროშა, რომ მუდმივ ჩემი მოძმენი შეერთებულიყვნენ ერთის ზრახვით ერთ სულოვნობით, რომ მუდმივ ვიდრე არსებობდეს საქართველო მათ შორის აღორძინებულიყოს ერთიანობა და ლეგიონთა მისწრაფება უნდა იყვეს მთლიანი შეერთიანება და მასთან გამარჯვება. ,,გამარჯვება'' დიადი ძალა, რაც მოიპოვა მოკლე ხანში. ლეგიონის ორი ასეული სწარაფათ გავიდა ბრძოლის ველზე. მე მოვეე მეორე ასეულში და როდესაც დავბანაკდით შულავრის მიდამოებში პირველი ასეული უკვე

შეჩვეოდა ყუმბარების ზუილს, ღამით ოცდა შვიდ დეკემბერს დავიკავეთ მეორე ასეულმა მაღლობები, გათენდა მტრედის ფრათ, რომ დაიწყო არტილერიის დუელი, მრავალი ყუმბარა სკდებოდა, სადაც იდგა 1 ასეული ლეგიონისა, რადგანაც მტერს ეგონა, რომ ზარბაზნები უნდა მდგარიყვნენ, სადაც მოფარებული იყო 1 ასეული რაღაც განგების ძალით მას სხვერპლი არ იყო. იქნებოდა თერთმეტი საათი რომ პირველმა ასეულმა და მექვსე პოლკის ასეულებმა მარცხნივ მხრივ და გაიშალნენ მინდორზედ. ასტყდა უზედური გრიალი ყუმბარეების და ტყვის მფრქველებმა მოუკიდეს მთებს ცეცხლი იქნებოდა შუა დღე რომ მოგვცეს ნიშანი და დავეშვით დაღმართში. ლეგიონერებმა თითქოს ფრთები შეისხესო ეგრე ეკვეთნენ მტრებს სულ ცოტა ხანში ავიღეთ რამდენიმე სიმაღლეები და მივეშურეთ 246, 9 სიმაღლისკენ სადაც მტერს ედგა ტყვიის მფრქვეველები, როდესაც მიუახლოვდნენ ლეგიონერები მათ თხრილებს. მათაც მოინდომეს იერიშის მოტანა, რამდენიმე წუთი შედგნენ ორთავ მხარე და ვერ გებედნათ ერთმანეთზედ გადასვლა, რომ წინა რიგში განჩდა მთის შვილი ხევსური და არწივივით გადაავლო თვალი მათ და შესძახა, აგერ ურჯულოებიო. და გადახტა პირველი თხრილში, მის მაღ მაგალითს მიყვნენ ოთხიოდე ლეგიონერები. სომხებმა პირი იბრუნეს და ჩვეულებრივათ მოძუძგეს. ბნელდებოდა, რომ მტერი გავფანტეთ და ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. გამოჩნდა უფროსი ასეულების კაპიტანი გვიშიანი. მას ვაშას ძახილი მიეგებნენ გამარჯვებულნი ლეგიონელები. და დიდხანს 246,9 სიმაღლეზე გაისხმოდა ვაშას ძახილი ჩვენს მხრივ იყვნენ დაჭრილნი სამნი. მტერმა დასტოვა ოთხი მკვდარი, ორი ტყვიისმფრქველი, თვრამეტი თოფი და ტელეფონები. მათი სისხლი მოწმობდა რომელიც ეტყობოდა თოვლზედ, რომ მრავალი დაჭრილი შაიფარა იმ ღამეს შულავერმა. ჩვენი ხელმძღვანელნი არ იყვნენ ძველი დაარსებული ლეგიონის უფროსები გვიშიანის მეტი. იყვნენ აფიცრები რუსის შკოლისა პარუჩიკი იოსებ ჯორბენაძე, პადპარუჩიკი შიო მალალაშვილი, და კოწია ინასარიძე; რომლებმაც დიდი მაგალითი უჩვენეს ლეგიონერებს და ამ აქ მოპოებულმა სახელმა როგორც აფიცრები და ლეგიონები, როგორც ახლები, ეგრეთვე ძველები შეაერთა და საერთო ღვაწლი გასწიეს სამშობლოსადმი. შესანიშნავია ორი ხევსურის გაფიცვა, რომლებიც გაფიცულიყვნენ წინა ღამეს, რომ ვინცობა ლეგიონს უკან დაეხია ისინი უნდა დარჩენილიყვნენ ბრძოლის ველზედ და თავიანთი სიკვდილით დაეტოვათ უკვდავი სახელი. ერთერთ ხევსურს გაფუჭებოდა თოფი, მას წამოსწეოდა კაპიტანი გვიშიანი, მიშველე რამე ბატონო გაფუჭდა ეს უპატრონოვო. კაპიტანს მიეცა დაჭრილის თოფი და ის სიხარულით გაშურებულიყო მტრისკენ და თურმე გაიძახოდა სიკვდილი ურჯულოებსო. არა ნაკლებ გამარჯვება ხვდა პირველ ასეულს პარუჩიკი გოგია ყანჩაველით. მათ დარჩათ სამოცდა ექვსი ტყვე, რომლებშიაც ერია სამი აფიცერი. ჩვენ მხრივ მოკლულია 2, დაჭრილია 4, მოკლულნი არიან ცხინვალელები გასანბეგ და შაქრო ქასრაძე. მათ თავიანთ სისხლით მორწყეს შულავრის ველები და თავიანთ სიკვდილით ჩვენში დასტოვეს მუდმივი ხსოვნა. გასანბეგი შთამომავლობით ლეკი იყო, მარა გულით ქართველი. ოსების აჯანყების დროს ის გმირულად იბრძოდა გვარდიელთა რიგში და ვაჟკაცობის სახელი მოიპოვა ცხონებულმა. და როდესაც მოულოდნელათ მუხთალმა მტერმა გამოგვიცხადა ომი ის ჩაეწერა ჩვენს ლეგიონში და გმირულად იბრძოდა სიკვდილამდის. თვის სისხლმან შეაერთა მამადიანი და ქართველი. ამით გათავდა 28 დეკემბერი, დილით შვიდ საათზედ 30 ლეგიონერი კოწია ინასარიძის უფროსობით და ერთი ტყვიის მფრქვეველით გავეშურენით შულავრისკენა, სისხლის ზოლები მოწმობდნენ ჩვენს ნამოქმედარს, შულავერს, რომ მიუახლოვდით გამოჩნდა თეთრის ბაირახებით და პურ მარილით სომხების დელეგაცია, რომელით მათ მოუძღოდა ნამყოფი კომისარი ლთლაბერიძე. ჩვენ არ შევედით შულავერში ვიდრე არ მოვიდნენ ჩვენი ჯარები, რომ მცხოვრებლებს ჩვენთვის ჩირქი არ მოეცხოთ. და შულავრის გამარჯვებით ჩვენ მოვიხვეწეთ უკვდავი სახელი. როდესაც დავბრუნდებით ჩვენს სახლებში და ვინცობა დასჭირდა ჩვენი თავი ჩვენს სამშობლოის, ჩვენს შევიკრიბებით ისევ ლეგიონის დროშის ქვეშ და რაც გინდა იყოს მტერი ძლიერი ჩვენ შევეწირებით მსხვერპლად წმინდათა წმინდას.

ლეგიონერი

სომხეთ-საქართველოს კონფერენცია.

10 იანვარს თფილისში დაიწყო მუშაობა სომხურ-ქართულმა კონფერენციამ იმ საკითხების გამოსარკვევათ, რომელნიც დაკავშირებულია 1918 წ. 31 დეკემბერს ღამის 12 საათზე სომხეთ-საქართველოს შორის ჩამოვარდნილ დროებით ზავთან.

კონფერენციის შემადგენლობა ამნაირია: ინგლისიდან და საფრანგეთიდან პოლკოვ. სტიუარტი (თავჯდომარე). კონსული დიურუა, და სხვა.

საქართველოდან ე. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი, გენერალი გედევანიშვილი და კ. საბახტარაშვილი; სომხეთიდან მ. არუტინიანი, გენერალი კარგანოვი, ს. მამიკონიანი, ა. ხაჩატრიანი, ტერ—ხაჩატრიანი და ა. ხონტკარიანი.

კონფერენციას უკვე ოთხი სხდომა ჰქონდა. ყველა ძირითად საკითხებში, რომელიც კონფერენციაზე წამოიჭრა, სომხებსა და ქართველებს შუა მნიშვნელოვანი შეურიგებლობა დაიხატა, ხოლო გადამწყვეტი ხმა, ამ შეურიგებლობაში, მოკავშირეთა წარმომადგენლების როგორც ნეიტრალურ მხარეზე აღმოჩნდა.

პირველი შეხლა-შემოხლა გამოიწვია იმ ხაზის გამორკვევამ, რომელზედაც უნდა დასდგეს საქართველოს რესპუბლიკის ჯარი.

საქართველოს დელეგაციამ კონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველოს ჯარმა უნდა დაიჭიროს პოზიცია, რომელიც ეჭირა მას საომარ მოქმედებათა შეწყვეტის [illegible] დროს, 31 დეკემბერს ღამის 12 საათზე.

სომხეთის დელეგაცია მოითხოვდა, რომ საქართველოს ჯარმა უნდა დაიწიოს იმ ხაზზე, რომელიც მას ეჭირა ,,დროებითი ზავის ხელის მოწერის მომენტის დროს''-ო.

ორივე მხრის თვალთსაზრისის გაგების შემდეგ, მოკავშირეთა წარმომადგენლებმა სრულიად გაიზიარა შეხედულება საქართველოს დელეგაციისა. ამისდა მიხედვით მოხდა კონფერენციის დადგენილებაც.

ამ დადგენილების წინააღმდეგ სომეხმა დელეგატებმა წერილობითი პროტესტი განაცხადეს.

შემდეგი საკითხი, რომელშიც დიდი უთანხმოება გამოიწვია, იყო ნეიტრალურ ზონაში ადმინისტრაციის ყოლისა.

ამ საკითხის შესახებ სომხეთის დელეგატებმა წარმოადგინეს გეგმა 3 პირისაგან შემდგარ საკომისარიატოს მოწყობისა: ერთი საქართველოს მთავრობიდან, მეორე სომხეთის მთავრობიდან და მეორე ადგილობრივ მცხოვრებთაგან, იმ პირობით კი, რომ ეს კოლლეგია უნდა ყოფილიყო მოკავშირეთა მთავარსარდლობის კონტროლს კვეშ.

საქართველოს დელეგაციამ, კომისარიატის შემადგენელობის შესახებ, მეორნაირი გეგმა წარმოადგინა. საქართველოს დელეგაცია ითხოვდა: თითო წარმომადგენელი საქართველოდა და სომხეთიდან და თითო წარმომადგენელი ადგილოვრივ ეროვნულ ერთეულებთაგან, რომელნიც ნეიტრალურ ზონაში იმყოფება.

მოლაპარაკების მიმდინარეობაში, საქართველოს დელეგაციამ წარადგინა შედარებით უბრალო ეხება კომისარიატის ორგანიზაციისა: თითო წარმომადგენელი საქართველოსაგან და ის საკითხები, რომელნიც ამ ორ სახელმიფოთა შორის უთანხმოებას იწვევს, მოსაგვარებლად გადაეცეს მოკავშირეთა წარმომადგენლებს.

(შემდეგი იქნება)

,,კლდის'' ბიბლიოთეკა:

დაიბეჭდა ნაწერები:

გრიგოლ ვეშაპელის

,,ნაც.-დემოკრატიული პარტია''

დავით ვაჩნაძის

,,მუდმივი ჯარი თუ სახალხო მილიცია''

მიხეილ მაჩაბელის

,,მიწის საკითხი''

შალვა ქარუმიძის

სამღვთო სჯულის სწავლების გაუქმება.

თითო წიგნის ფასი 15 შაური.

ქართველთა ამხანაგობის სტამბა, გოლოვინის პრ. № 26.